MES 8 23 0001242838

26/09/2023

კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) ფარგლებში მე-2 საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 09 მარტის №338 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)" (პროგრამული კოდი 32 08; შემდგომში - პროგრამა) მე-4 და მე-5 მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 02 ივნისის №582615 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მართვის სახელმძღვანელოს" (შემდგომში - კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მართვის სახელმძღვანელო), „კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მართვის სახელმძღვანელოს" ფარგლებში გრანტების გამცემი და საჩივრების განმხილველი კომისიების შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 26 ივლისის №844623 ბრძანებით შექმნილი გრანტების გამცემი კომისიის 2023 წლის 22 სექტემბრის №5 სხდომის ოქმის საფუძველზე და კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) ადმინისტრირების ერთეულის ხელმძღვანელის 2023 წლის 25 სექტემბრის №1233390 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) ფარგლებში გამოცხადდეს მე-2 საგრანტო კონკურსი (შემდგომ - კონკურსი).
2. კონკურსი წარიმართოს კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მართვის სახელმძღვანელოს რეგულაციების მიხედვით.

3. საგრანტო განაცხადები წარმოდგენილ იქნას ელექტრონულად, გრანტების მართვის ვებპორტალზე - www.grants.gov.ge.
4. კონკურსის პრიორიტეტები და თემატიკა განისაზღვროს შემდეგი სახით:
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შემდეგი ფართო სფეროების: **ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა; ბ) ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; გ) ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; დ) სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია; ე) განათლება; ვ) ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის:

1. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინდუსტრიის/დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად, მათ შორის, საჯარო-კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორობით, შექმნა/განვითარება/განხორციელება (ერთობლივი სწავლება/სტაჟირება ან/და სხვა ინიციატივები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, მათ შორის, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები);
2. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი აკადემიური ხარისხის (მათ შორის, ე.წ. „ორმაგი ხარისხის“) მინიჭების და/ან საერთაშორისო აკრედიტაციის ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული უცხოური ორგანიზაციის აკრედიტაციის მინიჭების მიზნით.

<u>დამატებით:</u> საგრანტო წინადადება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების (როგორც არსებული პროგრამების განვითარების, ასევე ახალი პროგრამების შექმნის) კონტექსტში დასახული მიზნის სადემონსტრაციოდ უნდა ითვალისწინებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებების კომბინაციას/ერთობლიობას (დასაშვებია სხვადასხვა კომბინაცია დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე):

- სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების შემოტანას, მათ შორის, აუდიტორიულ სწავლებაში ისეთი თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და ტექნლოგიების გამოყენებას, როგორიცაა პრობლემათა გადაჭრისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning), ასევე ელექტრონული სწავლების მეთოდების გაძლიერება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსში სფეროს უახლესი ტენდენციების ასახვას;
- თანამედროვე სამეცნიერო აღჭურვილობით ლაბორატორიებისა და ინფრასტუქტურის გაუმჯობესებას;
- პრაქტიკული სამუშაოების/კომპონენტის გაძლიერებას და სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას;
- შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერების მიზნით კურიკულუმის განვითარებაში შესაბამისი დამსაქმებლების ჩართვას;

- საგანმანათლებლო სისტემაში, განსაკუთრებით სამეცნიერო, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის (STEM) დარგებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერას მდედრობითი სქესის სტუდენტების STEM პროგრამებში მოზიდვისათვის.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

ა) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (ერთი აპლიკანტი);

ბ) კონსორციუმს, რომელიც შედგება მინიმუმ ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან (აქედან მინიმუმ ერთი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება), რომლებიც პროექტის მთავარი ბენეფიციარები იქნებიან.

6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ორივე შემთხვევაში, წარმოდგენილი საგრანტო განაცხადები უნდა ითვალისწინებდეს პარტნიორობის (თანამშრომლობის) დემონსტრირებას. პარტნიორად შეიძლება განხილულ იყვნენ ადგილობრივი და/ან საერთაშორისო კერძო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი და/ან საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევითი ორგანიზაციები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. გრანტების მომხმარებლები და ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ადგილობრივი ინსტიტუციები - საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირები.

7. კონკურსის ფარგლებში გასაცემი გრანტების ბიუჯეტის საერთო ოდენობა განისაზღვროს 2.200.000 (ორი მილიონ ორასი) აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, გრანტების გამცემი კომისიის მიერ დასაფინანსებელ კანდიდატთა საბოლოო სიის დამტკიცების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

8. გრანტის მაქსიმალური ოდენობა ერთი აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ერთი საგრანტო წინადადებისათვის განისაზღვროს არაუმეტეს 110 000 (ას ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, აპლიკანტის მიერ საგრანტო წინადადების წარმოდგენის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

9. გრანტის მაქსიმალური ოდენობა კონსორციუმის მიერ წარმოდგენილი ერთი საგრანტო წინადადებისათვის განისაზღვროს არაუმეტეს 200 000 (ორასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, კონსორციუმის მიერ საგრანტო წინადადების წარმოდგენის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

10. კონკურსის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 28 სექტემბერი, ხოლო კონკურსის დასრულების თარიღად - 2023 წლის 24 ნოემბრის 23:59 საათი.

11. კონკურსთან დაკავშირებით საინფორმაციო ხასიათის კითხვების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 31 ოქტომბერი. შეკითხვები წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: cif@iiq.gov.ge.

12. დაევალოს კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) ადმინისტრირების ერთეულს კონკურსის ფარგლებში გრანტების მართვის ვებპორტალის ადმინისტრირებისათვის (კონკურსის გამოქვეყნების, აპლიკაციის შევსებისა და გადაგზავნის მოდულების ჯეროვნად ფუნქციონირება) შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.mes.gov.ge;

ბ) პროგრამის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.iiq.gov.ge;
გ) გრანტების მართვის ვებპორტალზე - www.grants.gov.ge.
13. დაევალოს პროგრამის ადმინისტრაციულ მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
პროგრამა „ინოვაციის, ინკლუზიურობის და
ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)“
აღმასრულებელი დირექტორი
თამარ სანიკიძე